ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N7

ანიკა შტიორი - „სუპერვარსკვლავები, ალგორითმები და სოციალური მედია: ანუ რა კავშირი აქვს კონკურენციის სამართალსა და ეკონომიკას ტეილორ სვიფტთან?“

2024 წლის 10 ივლისი, 19:00-20:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

დოქტორი ანიკა შტიორი (ილმენაუს უნივერსიტეტი, გერმანია) - პოსტდოქტორი-მკლევარი და ლექტორი ეკონომიკური თეორიის კათედრაზე 2023 წლიდან. მედია ეკონომიკის მიმართულებით განათლების მიღების შემდგომ, 2022 წელს დაიცვა სადოქტორო ნაშრომი თემაზე „გერმანიის კონკურენციის პოლიტიკის ეკონომიკური შეფასება და შედეგად შემოთავაზებული რეფორმა“. მისი კვლევები ფოკუსირებულია კონკურენციის ეკონომიკის, სამართლისა და პოლიტიკის თანაკვეთაზე. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ასევე აქვს საჯარო სექტორში (გერმანიის ეკონომიკურ საქმეთა ფედერალურ სამინისტროში) მუშაობის გამოცდილება.

ვებინარის შესახებ

თანამედროვე სოციალურმა მედიამ მნიშვნელოვნად შეცვალა ხელოვნების ინდუსტრიაში მოღვაწე პირთა საქმიანობა. ალგორითმული კონკურენციიდან გამომდინარე, შოუბიზნესში წარმატებული კარიერისთვის გადამწყვეტია ნაშრომების (მაგ. მუსიკალური ნომრების) შესაბამის აუდიტორიამდე სწრაფად მიტანა და მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა. ეს კი საკმაოდ რთულია ინფორმაციული გადატვირთულობის საუკუნეში, სადაც მსმენელთა/მაყურებელთა ყურადღება ადვილად გადადის ერთი ნამუშევრიდან მეორეზე (განსაკუთრებით ე.წ. მოკლე ხანგრძლივობის კონტენტის განთავსების პირობებში ისეთ პლატფორმებზე როგორებიცაა YouTube და TikTok). ასეთ სიტუაციაში, როგორ ახერხებენ ალგორითმული კონკურენციის წინა ხაზზე ყოფნას ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორიცაა ტეილორ სვიფტი? რა კავშირშია მათ პოპულარულობასთან კონკურენციის სამართალი და ეკონომიკა? ვებინარზე სწორედ ამ შეკითხვებს ვუპასუხებთ.

ვებინარზე დარეგისტრირება შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:
https://forms.gle/MxwVawQyY78TmHLr7

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/